

საქართველო

პროცესული თავისუფლების ზეობა - პროცესული თავისუფლებისაკენ
პროცესული თავისუფლების ზეობა - პროცესული თავისუფლებისაკენ

პროცესული თავისუფლების ზეობა - პროცესული თავისუფლებისაკენ

სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-კოლტიკური ბაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 4 (1442)

15-22 თებერვალი 1996 წ.

რატომ ებრძვის რეაქციური ბაზილაზვილს?

აღვკაბა შალვა რჩეული-
შვილის სახელი ამ ბოლო ხანებში
ფართოდ გახმაურდა, რაც გამოი-
წვია მისმა პუბლიკაციებმა და გა-
მაღლებით გამართულმა პრესკონ-
ფერენციებმა პროკურატურის
წინააღმდეგ.

ერთი შეხედვით ადვოკატი იბ-
რძვის ადვოკატთა უფლებების და-
საცავად და უდანაშაულო ადამი-
ანების საპრობლეოდან გასათავი-
სუფლებლად, რაც ქების ღირსია,
მაგრამ ორშაბათს ჟურნალისტთა
სახლში გამართული პრესკონფე-
რენციიდანაც, რომელსაც ადვო-
კატთან და ჟურნალისტებთან ერ-
თად პროკურატურის წარმომად-
გენლებიც ესწრებოდნენ, კიდევ
ერთხელ გამოჩნდა, რომ ყველაფე-
რი გამოდგება „ჩხუბის“ საბაზად,
თუკი „ჩხუბის“ მიზეზი და მიზანი
არსებობს.

ადვოკატმა ჟურნალისტების
წინაშე დიდხანს და ოსტატურად
ისაუბრა მასა და პროკურატურას
შორის ატეხილ ჩხუბის საბაზზე,
— ადვოკატების არ შეშვება რეს-
პუბლიკის პროკურატურის შენო-
ბაში, რაც იქვე გაირკვა, რომ
მთლად მართალი არ ყოფილა, პი-
რიქით, ბატონ შალვას პროკურო-
რები თურმე აღმა-დაღმა დაეძე-
ბენ პროკურატურაში გამოსაცხა-
დებლად.

მაშ რა არის ამ აჟიოტაჟის ნა-
მდვილი მიზეზი?

პრესკონფერენციაზე გაისმა
შეკითხვა, ხომ არ აქვს ამ ბრძოლას
პოლიტიკური მიზანდასახულება,
გაისმა სხვა მსგავსი შეკითხვებიც,
მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი,
ჩვენის ფიქრით, ერთ მიზეზზე და-
დის, რომელიც მიზანსაც განაპი-
რობებს. კერძოდ, ცალკეულ
მკვლელობებთან დაკავშირებით

პროკურატურას და ადვოკატს გა-
ნსხვავებული მოსაზრებები გააჩ-
ნიათ.

პროკურატურა, როგორც
მკვლელს, ვთქვით, ხელს ადებს
ერთ პიროვნებას. ადვოკატიც,
იმავე მკვლელობასთან დაკავში-
რებით, ხელს ადებს პიროვნებას,
მაგრამ პროკურატურისათვის
ცნობილი მკვლელი და ადვოკატის
მიერ სახელდებული მკვლელი
არასოდეს ერთმანეთს...

ანუ, ადვოკატის პროფესია
ბატონ შალვას უფრო ღრმა მნი-
შვნელობით გაუგია, ვიდრე ეს
დღემდე იყო ცნობილი...

მეტი მკაფიოობისათვის ერთ
ანეკდოტურ სიუჟეტს მოვიშვე-
ლიებთ. ყმაწვილი კაცი, რომელს-
აც უნივერსიტეტში ფილოსოფი-
ის ფაკულტეტზე ჩაუბარებია, სო-
ფელში ჩადის და ამ ამბავს მამას
ახარებს.

გახარებული მამა ქათამს დაკ-
ლავს, შვილს სუფრასთან შემოი-
სვამს და ბედნიერი სახით ეკითხე-
ბა:

— შვილო, ძალიან კარგი,
სტუდენტი რომ გამხდარხარ, მაგ-
რამ რა გამოხვალ, რით მომეშვე-
ლებიო.

— ფილოსოფოსი გამოვალო,
— იყო პასუხი.

— ინიერვი ვიცი, რომ ხი-
დებს აშენებს, სახლებს აშენებს,
ექიმი რომ გამოხვიდე, მიკურნა-
ლებ, აგრონომი თუ იქენი, ბაღს
მიმიხედავ, ფილოსოფოსი რომ იქ-
ნები, რას გააკეთებო, — ეკითხება
შვილის გასტუდენტებით გახარე-
ბული გლეხკაცი.

— რაო და, — იყო პასუხი —
ამ სუფრაზე ხომ ერთი ქათამი
დევს, მე ისეთი კაცი გამოვალ, რომ
შემეძლება დაგიტყციო, სუფრა-

ზე ერთი კი არა, ორი ქათამი
დევს...

— განაწყენებულმა გლეხკა-
ცმა სტაცა ქათამს ხელი, გაპკრა
კბილი და შვილს უთხრა, ამას მე
შევვამ, ის მეორე კი შენ მიირთ-
ვიო...

ასე სოფისტურად ესმის პატი-
ვცემულ შალვა რჩეულიშვილს
ადვოკატის მოვლუობაც. რო-
გორც აღვნიშნეთ, პროკურატუ-
რას დაქრული ჰყავს, ვთქვით, ერ-
თი მკვლელი, ადვოკატს კი შეუძ-
ლია დაამტკიცოს, რომ არსებობს
მეორე (აუ უკვე არარსებული, მი-
ცვალბებული)...

პროკურორი ბაზილაშვილი
ამბობს: „ჩვენი“ მკვლელი ჩვენთან
იყო, „შენი“ „მკვლელი“ კი შენთ-
ვის დამითმიაო...

მაგარი ის არის, რომ იმ სტუ-
დენტსაც ის ქათამი ერჩია, მაგიდა-
ზე რომ იდო გამოსახრავად... და
ადვოკატსაც ის მკვლელი ურჩევ-
ნია, პროკურატურას რომ ჰყავს
დაპატიმრებული, მაგრამ გენერა-
ლურმა პროკურორმა იმ გაუნათ-
ლებელი გლეხკაცივით ვერაფრით
გაიგო სოფისტური ფილოსოფიის,
უკაცრავად პასუხია, სოფისტური
ადვოკატურის არსი, ეტყობა ვერც
პოეზიის ბოჰემური სტრიქონების
სიღმეებს ჩასწვდა:

„არარსებული მიიჩნევ კვლავ
არსებულად

და არსებული მიიჩნევ არარ-
სებულად“

რასაც წარმატებით იყენებს
ადვოკატის მძიმე გზაზე შ.რჩეუ-
ლიშვილი. აი, მიზეზი შესაბამისი
მიზნითურთ ადვოკატის მიერ
ატეხილი „ჩხუბის“ გენერალური
პროკურორის წინააღმდეგ.

ნოდარ ბრიგალაშვილი

ქართველ მაჰმადიანთა სამღურაპი დედა სამუოზლოსადმი

მე-3 გვ.

მის არის დამნაშავე ანუ მის ჩათვლა ომი აზხაზთა და ქართველთა შორის?

მე-3 გვ.

ქვირფასო მკოლავო! შეინახეთ ჩვენი ბაზეთის ეს ნომერი

იხ. მე-6 გვ.

ქართველ მწერალთა საერთო კრება მიწის გაყიდვის წინააღმდეგ

ორშაბათს, 12 თებერ-
ვალს, საქართველოს მწერალთა
კავშირის სასახლეში შედგა ქარ-
თველი მწერლების საერთო კრე-
ბა, რომელსაც ესწრებოდნენ
მოწვეული სტუმრებიც — აგრა-
რული საკითხის სპეციალისტები,
მეცნიერები.

შესავალი სიტყვა წარმოსთ-
ქვა კავშირის თავმჯდომარემ გუ-
რამ ფანჯიკიძემ. მან აღნიშნა,
რომ პარლამენტში გადის საკი-
თხი მიწის კანონის შესახებ.
პროექტი ითვალისწინებს მიწის
კერძო საკუთრებაში გადაცემას
ყიდვა-გაყიდვის უფლებით — ამ
კანონის მიღება წინაპირობა იქ-
ნება ქართული მიწების მთლიან-
ად განიყვანა-გაყიდვისა უცხო-
ელზე. არაქართული მოსახლე-
ობა ამ კანონის ძალით ხელში
ჩაიგდებს უდიდეს ნაწილს მამა-
ბაბათა მიერ სისხლით შემონა-
ხული ჩვენი ტერიტორიისა და
ა.შ. გ.ფანჯიკიძემ გამოთქვა აზრი,
შეეღვინათ ტექსტი, რომლითაც
პარლ. „ა“ აღნიშნული კანო-
ნპროექტ. განხილვის გადავა-

დებას მოსთხოვენ.

შეხვედრა მთლიანად აღნი-
შნული პათოსით წარიმართა.

ორატორებმა: გიორგი ცი-
ციშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა,
ელგუჯა ჭვათაძემ, ოთარ ჭელი-
ძემ, ჭაბუა ამირჯიბმა ამ კანონ-
პროექტის მიმართ უარყოფითი
დამოკიდებულება გამოხატეს.
„ეს მიწის კი არა, ეს საქართვე-
ლოს გაყიდვაა“, — აღნიშნა,
რომ პარლამენტში გადის საკი-
თხი მიწის კანონის შესახებ.
„ამ კანონის მი-
ღება ერის მტრობაა“ — ასეთი
იყო ემოციურ გამოსვლათა ში-
ნაარსი. ამ მხრივ მწერლებსაც
გადასჯარბა ექვთათაძემ და ერთმა
მოწვეულმა ქალბატონმა.

განსახილველ საკითხზე
ვრცლად ისაუბრა ნოდარ ნათა-
ძემ, რომლის გამოსვლამ მასთან
ყოფილი პარლამენტიდან მძაფ-
რად დაპირისპირებული ჭაბუა
ამირჯიბიც კი აღაფრთოვანა.
სხდომის დასასრულს შეიქმნა
კომისია, რომელიც შეადგენდა
პრეზიდენტისადმი მიმართულ
ტექსტს.

«მიწა სამუოზლოა, მისი გაყიდვა არ შეიძლება»

ამ ინტერვიუში უკვირებულ
დროში ახალ-ახალი პრობლემები
ინებს თავს. საწვავი და პური
ძვირდება. დღის წესრიგში დგება
საკითხი, მიწათმფლობელობის რა
ფორმა უნდა არსებობდეს.

ამ პრობლემებს მიუძღვნა პრეს-
კონფერენცია, რომელიც არაპოლი-
ტიკურმა ორგანიზაციამ „მოდრობა
სიცოცხლისათვის“ გამართა.
როგორც ამ მოძრაობის ხელ-
მძღვანელმა გიორგი ყორღანაშვი-
ლმა განაცხადა, ის და მისი
ჯგუფის წევრები იშვშობდნენ
მანამ, სანამ სიმართლეს არ მია-
ღწევნ.

აღნიშნა, რომ პურის გაძვი-
რება არის დანაშაული. კომპენსა-

ცია კი, რომელსაც მოაგრობა
ხალხს შეიძლება, აბუჩად აგდება.
თუ ისინი მართლდები არიან, ეს
თანხა პურის ქარხნებს გადაუხა-
დონ, ძველი ფასები უცვლელი
დატოვონ.

ბატონმა გიორგი ყორღანაშვი-
ლმა თქვა, რომ დღეს საქართვე-
ლო გარკვეული საფრთხის წინაშე
დგას. არ შეიძლება, რომ მიწა
კერძო მფლობელობაში გადავიდეს,
რადგან ქართველი კაცი მიწას ვერ
შეინარჩუნებს. ყველაფერი გადავა
უცხოელის ხელში, რომელიც ქა-
როულ მიწას ჩაღის ფასად შეი-
ძენს მისი აზრით, საქართველო
გაპროლეტარდა და გამოგანოვდა.
ყოველივე კი წინაპირობას ქმნის

იმისას, რომ 1921 წელი განმეო-
რდეს. მან მიწის კერძო საკუთ-
რებაში გადასვლა პრივატიზაციას
შეადარა და დაასკვნა, რომ მიწის
კერძო საკუთრებაში გადასვლა
ურავს, შედეგს მოგვიტანს რო-
გორც ბატონმა გიორგიმ გვითხრა.
ის გაცნობს საერთაშორისო სავ-
ლურ ფონდის მემორანდუმებს,
არსად არ წერია, რომ აუცილდ-
ებლია მიწის გაყიდვა. მისი აზ-
რით, მიწის გაყიდვა არ შეიძლება,
რადგან მიწა სამშობლოა. მიწა
ბანკში დაგირავდება და შემოი-
კო ყველაფერი დაკარგული აღმო-
ჩნდება, დახიანა მან.

ნინო ჯამთარაძე

ლოთი ქობალიას სასამართლო პროცესი

სასამართლო პროცესი, რომელზედაც ბრალდებულად გვევლინებოდნენ ჯამბულ ბოკუჩავა, ვახტანგ (ლოთი) ქობალია, სიმონ ჯღენტა, ზვიად ძიძიგური, ნუგზარ მოლოდინაშვილი, პროკურორი გახლდათ ვლადიმერ წერეთელი, ხოლო მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილი, განახლდა 7 თებერვალს დღის 12 საათზე.

პროცესის დაწყებამდე საკმაო ხალხი იდგა სასამართლოს შენობასთან. დაცვა არავის არ უშვებდა. სასამართლო დარბაზში შესული ხალხი სწრაფად ცდილობდა ადგილის დაკავებას. წესრიგის დამცველი აჩქარებდნენ მათ და სიმკაცრეს იჩენდნენ დამსწრე საზოგადოების მიმართ. ბადრაგი დიდი ენაშაფრებულობით გამოირჩეოდნენ, რითაც ერთგვარად „ახალისებდნენ“ არსებულ სიტუაციას. დარბაზში შესვლა „მიწისქვეშის ადგილებზე“ უდრიდა, იყო ერთი გაწვევა-მოწვევა და გამიშვი — არ გაგვიშვებ.

ერთ-ერთმა მანდილოსანმა ბადრაგს უხეში მოპყრობისათვის შენიშვნა მისცა: — ხომ ხედავთ, რომ მოვდივარ, ბენებ დამითმით ადგილი, რას ჰგავს ეს?!

ბოდიში, რომ ვერ შეგაძინეთ და დრო შეგი ვერ გამოფიქვინეთ! — იყო ბადრაგის პასუხი.

საზოგადოებამ ბევრი ჩოჩქოლის შემდეგ ადგილები დაიკავა.

პროცესის დაწყებისთანავე ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ გამოთქვა პრეტენზია არასასურველი ადვოკატის შესახებ. მოსამართლე ალადაშვილმა პრეტენზიას მკაცრი პასუხი გასცა.

ადვოკატთა პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სასამართლო პროცესის დასაწყისში ვახტანგ ქობალიას დაენიშნა ადვოკატი სულხანიშვილი, რომელზედაც მან უარი განაცხადა 22 დეკემბერს. ამის შემდეგ მას დაენიშნა ადვოკატი მარგველაშვილი. 26 დეკემბერს კვლავ განაცხადა

უარი და მოითხოვა ადვოკატი ნავროზაშვილი.

1995 წლის 5 აპრილს პარლამენტის გადაწყვეტილებით ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ერთ საქმეში ორი განსასჯელის ადვოკატი.

ქმნ იანერის ოქმში ქობალია აცხადებს, რომ არ სურს სახაზინო წესით დანიშნული ადვო-

პრეტენზია ციხის ადმინისტრაციის შენება და სწორედ ის გადაწყვეტს თქვენი ფორმის საკითხს, ხოლო თქვენი გამოცხადება — არგამოცხადება თქვენზე არ არის დამოკიდებული. ბადრაგი თავის საქმეს შეასრულებს და თქვენ ფიზიკურად მაინც იქნებით პროცესზე, ხოლო რაც შეეხება ჩვენების მოცემას

რამდენიმე სურათი სასამართლო დარბაზიდან

კატი, რადგან იგი თვითონ მონახავს დამცველს. მოსამართლის თხოვნაზე — ოღონდ თქვენთვის სასურველი ადვოკატი მონახეთ და თუ გინდათ სამი ერთად მოიყვანეთო, ქობალიამ უპასუხა: — აუცილებლად მოვიყვანდი, ძვირი რომ არ ჯდებოდესო.

პროცესის მსვლელობისას ბრალდებულმა ჟღერტმა განაცხადა აცილება პროკურორზე, ვინაიდან ბრალდებას უწოდა „ზოგადი, უსაფუძვლო, ფალსიფიცირებული და დღევანდელი ოფიციალური ნება-სურვილის ამსრულებელი“.

ჯამბულ ბოკუჩავამ პრეტენზია გამოთქვა იმის შესახებ, რომ რამდენადაც იგი სახმედროა, ითხოვს პროცესზე სამხედრო ფორმით გამოცხადებას (ამის დასტურად ნიუნბერგის პროცესი მოიყვანეს მაგალითად. ბრალდებულს სამხედრო პირები ხსენებულ პროცესზე სამხედრო ფორმით გამოდიოდნენ).

ამ მოთხოვნას ჟღერტმაც დაუჭირა მხარი: — თუ კიტოვანი სამხედრო ფორმით გამოდის, ჩვენც სამხედრო პირები ვართ და მოვითხოვთ სამოქალაქო ფორმის სამხედრო ფორმით შეცვლას. თუ ეს საკითხი არ გადაწყდება, სასამართლოში მონაწილეობას არ მივიღებთ და არ გამოცხადდებითო.

ამის საპასუხოდ მოსამართლემ ბრალდებულებს განუცხადა: თქვენს მიერ წამოყენებული

— ეს სხვა საკითხია. ჯამბულ ბოკუჩავამ სასამართლო პროცესზე შენიშვნა გამოთქვა სახელმწიფო ტელევიზიის მიმართ. სიუჟეტში, რომელიც ხსენებულ სასამართლო პროცესს შეეხებოდა, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაზარალებული დაასახელა ბრალდებულად (!).

პროცესის პირველი ნაწილის შემდეგ შესვენება გამოცხადდა. შესვენების შემდეგ კი დარბაზში შესვლა ერთობ გაჭირდა. ქალების შემოტევას ძლიერ იგერიებდნენ პოლიციის თანამშრომლები. ამ საერთო არეულობის გამო პოლიციამ ჩაკეტა სასამართლო დარბაზი და პროცესის პირველი ნაწილის დამსწრე საზოგადოების ნაწილი კარს მიღმა აღმოჩნდა. დარბაზში ისმოდა რეპლიკები: — შემოუშვით, ჩვენები!

— აქ ყველა ჩვენებია, აბა ამერიკელები კი არ არიან — იყო პოლიციის პასუხი.

— როგორ მოხდა, რომ პროცესის პირველ ნაწილში მყოფი ხალხი გარეთ აღმოჩნდა? — გაისმა ისევ დარბაზში.

— კი მაგრამ, ჭარკს ხომ არ წაუყუსმევდით პირველ ნაწილში მყოფ ხალხს? — გაოცდა ბადრაგის უფროსი.

მომხდარი ფაქტით „ბუღალჩუყებულმა“ მოლოდინაშვილმა ამას უსამართლობა უწოდა და სასამართლოს მოსთხოვა კარს მიღმა დარჩენილი ხალხის დარბაზში შემოშვება.

პროცესი გაგრძელდა, რის შემდეგაც ზვიად ძიძიგურმა ასეთი განცხადება გააკეთა: — ჩემი ძმის, სიძის და ჩემი მეგობრების დაკავების შემდეგ გამოჩნდნენ პიროვნებები, რომლებმაც მიხარეს, რომ თუ „გონივრული“ იქნებოდა ჩემი მოქმედება, ამით შესაძლებელი გახდებოდა ჩემი ძმის და სიძის განთავისუფლება. ჩემი „გონივრულობა“ კი შემდეგში უნდა გამოხატულიყო: ისე უნდა მემოქმედა, როგორც მავანთ და მავანთ სურდათ. ეს „დაწოლა“ მოდიოდა პროკურორ ჯაფარიძისაგან და გამოძიებელ შაყულაშვილისაგან.

მე ვაცხადებ, რომ ეს არის უხეში ზემოქმედება სასამართლო ძიებაში მყოფ პიროვნებაზე და გამოვთქვამ პროტესტს.

ძიძიგურის ამ განცხადების შემდეგ დაიწყო საბრალდებო დასკვნის კითხვა, რომელიც სამ ტომს შეადგენს.

ჟღერტმა საბრალდებო დასკვნას „სტატუს-სიუპრისტიუსი ნაშრომი“ უწოდა.

საბრალდებო დასკვნის კითხვისას ხშირად შეორდებოდა სიტყვები: გაიტაცეს, მიითვისეს, თავს დაესხნენ, მოკლეს, დაჭრეს, მოიპარეს...

საბრალდებო დასკვნა: „ზუგდიდის საცხენოსნ კლუბიდან ქობალიამ და მისი „მმართველებმა“ გაიტაცეს ორი ცხენი, რომლის ღირებულება მილიონ რუბლს აღემატებოდა“.

— რა არიან ეს მეგრელები, როგორ უყვართ მაინც ეს ცხენები? — ჩაურთო ბოკუჩავამ მეგრული აქცენტით.

ეს მწარე ხუმრობები გაგრძელდება მანამ, სანამ საბრალდებო დასკვნა არ იქნება წაკითხული, სასამართლო პროცესი კი ბევრად სერიოზული იქნება როგორც ბრალდებულთათვის, ისე მოწმეთათვის, დამსწრე საზოგადოებისათვის და თვით სასამართლოს შემადგენლობისათვის, რადგან საბოლოო განაჩენი სწორედ მათზეა დამოკიდებული.

ნათუნა აბაზაძე

სასამართლო, კომლიტა-ტიმარი და ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბ. მინდია უგრეხელიძის რესპუბლიკის სასამართლოს პრეზიდიუმს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს;

საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოებს; საქართველოს და მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს;

ვინაიდან უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მასობრივი ხასიათის მიღწეული პოლიტიკური საფუძვლების მქონე საქმეთა გამო სასამართლო პროცესებმა საქართველოს სასამართლოებში;

ვინაიდან პოლიტიკურმა სასამართლო პროცესებმა აშკარად გარკვეულწილად კულმინაციას მიაღწია;

ვინაიდან ამის გამო საქართველოში მომრავლდნენ პოლიტიკატივები და სინდისის ტუსადები, ადგილი აქვს დღევანდელი ხელისუფლების მიერ პოლიტიკატივართა მამართ ანგარიშსწორებას; ვინაიდან კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს ხელისუფლების პოზიციის განსხვავებული არის მქონე პირთა დენა-შეგავრთვება;

ვინაიდან პოლიტიკური მოტივით გასამართლებულ და აშკარად ბრალდებულ პირთა ხელდრითი წილის უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში რუსეთის მიერ ინსპირირებული სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილი, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული კანონიერი ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები და მათი მომხრეები.

სრულად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების (YGF) ასოცირებულ წევრ-ორგანიზაციას, დაბეჭდილი მოითხოვს:

- 1) ბათილად იქნეს ცნობილი 1992 წლის იანვრიდან სასამართლოთა მიერ გამოტანილი ყოველი განაჩენი პოლიტიკატივართა მიმართ;
- 2) შეწყდეს პოლიტიკატივართა და სინდისის ტუსადთა გასამართლება;
- 3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მისცეს იურიდიულ-სამართლებრივი კვალიფიკაცია 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში ქვეყანაში მომხდარ დანაშაულებრივ მოვლენებს.

სრულად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი **გიორგი კარპაძე 0330-110**.

პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრი **დავით ბარბაქაძე 0330-110**;

ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **ზაზა დავითაძე**.

გალიდან 600-მდე მოქალაქე გადმოვიდა მოთხოვნით...

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაეროს უშიშროების საბჭოზე გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ამერიკიდან ევროპის სახელმწიფოები პოზიტიურ როლს ითამაშებენ ამერიკა-კავკასიის რეგიონში.

სამშვიდობო ძალებისათვის ახალი მანდატის შემუშავება მოხდება 19 თებერვალამდე, ხოლო ძველ მანდატს უფლებამოსილება გაუგრძელდება აპრილამდე. ამაზე მუშაობა ჩატარდება დსთ-ს სახელმწიფოებთან ერთად და ასევე ის უნდა დაამტკიცოს ამ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ. ახალი მანდატი უნდა შემუშავდეს საქართველოს წინადადებების საფუძველზე. თუმცა დღეისათვის ექსპერტთა ჯგუფი არაა მზად ეს წინადადება მიიღოს, რადგან კანონით დაუშვებელია და ექსპერტებს არა აქვთ უფლება მიიღონ ის წინადადება, რომელიც ეხება სამშვიდობო ოპერაციის წარმართვის საქმეს, გეოგრაფიას და ა.შ.

ცნობილი გახდა, რომ გალიდან 600-მდე მოქალაქე გადმოვიდა, რომლებიც მოითხოვენ სამშვიდობო ძალების გაყვანას და გაეროს ჩარევას ამ საქმეში.

ჟურნალისტებმა კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატეს პირველი რაუნდის მიმართ, რადგან გარკვეული პრობლემების მოხსნა ამ ეტაპზე არ მოხდა. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება რეინგვის აღდგენის საკითხი. ექსპერტებს მინიჭებული უფლებები არ გააჩნიათ და მხოლოდ ვალდებულები არიან დაიცვან ის პოზიციები, რომლებიც განისაზღვრება ხელისუფლების მალაქ ემელონებში. ასე რომ, ექსპერტები I რაუნდში არსებითად შეზღუდულები იყვნენ.

15 თებერვალს გაიმართება კიდევ ერთი რაუნდი ექსპერტების დონეზე, ხოლო დსთ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო დანიშნულია 16 მარტს.

პრეს-კონფერენციაზე ისევ დაისვა ნავთობსადენთან დაკავშირებული პოლიტიკური ამინდის საკითხი. განწყობილებას ასეთია, განაცხადა ბატონმა მენაღარიშვილმა ჩვენი მაგისტ-

რალის აუცილებლობას თურქეთის ინტერესი განაპირობებს, რომელიც აშშ-სთან არის დაკავშირებული. ვიდრე აზერბაიჯანის ნავთობის კონსორციუმში თავის გადაწყვეტილებას მიიღება აღრეული ნავთობის გატანის გზების შესახებ, აშშ-ს პრეზიდენტმა ალიევს აცნობა, რომ ის კარგად ხედავს რა დაწოლას ახორციელებს რუსეთი აზერბაიჯანზე. მაგრამ მან ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ნავთობის ერთ-ერთმა მაგისტრალმა აუცილებლად თურქეთზე გაიაროს, ეს გზა კი საქართველოს ვერ ასცდება. ასევე ოფიციალურ რუსეთსაც არა აქვს რაიმე პრეტენზია ამ ეტაპზე და რაიმე გართულებასაც არ უნდა მოველოდეთ.

ხოლო ალიევის საქართველოში ვიზიტის შესახებ ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. თურქულმა გაზეთმა „საბახმა“ ინფორმაცია გაავრცელა იმის შესახებ, რომ შავიზღვისპირეთის ნავსადგურში შევიდა თურქული გემი, რომელმაც შეიტანა ხის მორები. გემში აღმოჩნდა 28 თურქი მოქალაქე და ათი აფხაზი. კაპიტანმა განაცხადა, რომ მან აფხაზები რუსი სამხედროების დაჟინებული თხოვნით წამოიყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ აძლევდნენ ნებას, რომ თურქი მოქალაქეები წამოიყვანა. ეს ათი აფხაზი ისევ გემზეა, ვინაიდან მათ საზღვარგარეთის პასპორტები არ გააჩნიათ. თურქების შესახებ ამბობდა, რომ ისინი სტუდენტები არიან, მაგრამ არ არის გარკვეული, სოხუმში რა უნდოდათ. ამ ფაქტის გაგების პირველი დღიდან საქართველოს საელჩო ჩეხა საქმეში. საქართველოს ელჩი თურქეთში ესაუბრა მათ, ისინი წინააღმდეგნი არიან საქართველოში დაბრუნების და თავშესაფარს თურქეთის სახელმწიფოს თხოვნენ. ეს ქმედება კი თურქეთს მიანიშნავს სასაზღვრო რეჟიმის უხეშ დარღვევად, რაც თავისთავად სწორია და უარს ამბობს ამ ათი აფხაზის მიღებაზე. მალე ყველაფერი გაირკვევა, მანამდე კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრო კომენტარისაგან თავს იკავებს.

ნიმუ ჯამთარაძე

ალიბაბა ჩაღუნელი:

ჩვენ და აფხაზები ერთმანეთს ვენდობით

ჩვენი გაჭყლის წინა ნაბიჯი გამომდინარეობს ინტეგრირი, სადაც ჩვენი უმთავრესი პრინციპი არის აფხაზთა მხარდა, რომლებიც გატყვევებული მიწების მფლობელები არიან. ჩვენ ვაპირებთ აფხაზების უფლებების დაცვას და მათი უსუსურობის აღკვეთას. ჩვენ ვაპირებთ აფხაზების უფლებების დაცვას და მათი უსუსურობის აღკვეთას.

ბ.ნ. ალიბაბა, პირველი რიგში, გთხოვთ, სრულად წარმოგიდგინოთ თქვენი პიროვნება...

— მე ვარ ძველი მხედრობის დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარე იყო ავთანდილ მარგანი. სწორედ ეს კომისია მუშაობს ტყვეთა გაცემის პრობლემაზე. აი, ამ ტყვეთა გაცემის კომიტეტის წევრი ვარ. ჩემი პერიოდში კავშირი მქონდა აფხაზებთან და ხშირად მიხდებოდა იქ გადასვლა. ამიტომ მე დღესაც გადავიღებულად მიხდება ტყვეთა მოხიბვა როგორც ქართველების, ისე აფხაზების მოძიებელი კი ძალიან ბევრია. სხვათა შორის, მათი სია მქონდა პაატა ზაქარეიშვილს.

ციალურად, აფხაზები ჩვენ გვენდობიან, ჩვენ მათ ვენდობით, ამიტომ გაურკვეველია მათთვის, რატომ უნდა დამალოს თავისი ვინაობა ძებნილის ჩვენთან გადასვლა მამამ. სხვათა შორის, თქვენი გახეთის ეს ნომერიც მათ მომართულია გაოცებულებმა. მე გადავიყვანე სოხუმში მერაბ დეკანოიძე, რომელიც თავის დაკარგულ ძმას ეძებდა. ვლადიმერ დობორჯგინიძე და ა.შ. და რა საჭიროა, ადამიანს დაუმტკიცო, ვინ ვარ და რას ვაკეთებ. ასეთი რამ აფხაზთა მხარეს არ ხდება. ჩვენ, აკი გითხარით, ვენდობით ერთმანეთს. სხვათა შორის, მათ კარგად იციან, რა ხდება საქართველოში.

ერთი საკითხია კიდევ. ეს თქვენი ინტერვიუები ლაპარაკობს საყაჩაღოდას და ა.შ. იცით რა, მე არ მაინტერესებს, როცა დაკარგულს ვეძებ, რამდენია მათ შორის საყაჩაღოდას ჩასული, ისინი ხომარად იყვნენ იქ. იარაღი ეჭირათ და საქართველოს ინტერესებს იცავდნენ. ჩვენ აფხაზები

ბევრ რამეში გვევლიან. მათთვის მემორიალიც კი აქვთ გაკეთებული სოხუმში. ასე რომ, არც ისეა ხშირად საქმე, როგორც გვგონია ხოლმე. რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, ვინ ჩავიდა საყაჩაღოდ? ჩვენ იმას ვერასოდეს დავადგენთ, იქ ვინ რას აკეთებდა. ისე კი, ამ საკითხით დაინტერესებული მე არავინ მინახავს. და იმასაც ვიტყვი, რომ მე ამ კაცს ძალიან კარგად ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ. მაგრამ მისგან განსხვავებით მე არასოდეს ვიტყვი — მე ეს გაგაკეთე თუ ის გაგაკეთე. მე საკმაოდ ცნობილი ვარ აფხაზეთში და ავტორიტეტითაც ვსარგებლობ. იცით, ერთ რამეში ვცემ აფხაზებს პატივს, რომ მათ ტყველი არ იციან, და ერთგულდება შეუძლიათ. ერთი აფხაზი ბიჭია, ოთარ ნარმანია, ის მიყვებოდა, რომ სოხუმში, ერთხელ ერთი ქართველი ბიჭი კიბეებზე ჩამოდიოდა ავტობატგადაკიდებული და უთხრეს გაჩერებულიყო. ის არ გაჩერდა, სროლა აუტეხეს და დაჭრეს ოთარ ნარმანიამ თავისი ხარჯებით ჩაიყვანა იგი ტყვეარჩევში, გაუკეთა ოპერაცია, მაგრამ ის ბიჭი მაინც ვერ გადარჩა, დაიღუპა. ნარმანიამ იგი დამარხა და მისი წყალობით ვიცით ეს სამარხი დღეს.

— რაც შეეხება ინტერვიუში დასახელებულ ციფრებს...
— ეს ციფრი შეიძლება ზევით

აიწიოს, შეიძლება ჩამოვიდეს. ამიტომ კატეგორიულად მივუთხრობა ამ ციფრებს. არ შეიძლება. ისე ძალიან მაინტერესებს, საიდან დაიჭვივნენ წყაროები? მოსხენებულმა პიროვნებამ ეს ციფრი?
— ახლა, უშუალოდ თქვენს მიერ მოძიებულ ინფორმაციებზე გვითხარით ორიოდე სიტყვა...
— ბოლოს რომ ვიყავი სოხუმში, შევხვედი არძიანას და მოვილაპარაკეთ ტყვეების გაცემა-გამოკვლევაზე. მივაკვლიეთ დაღუპულთა სამარხებს და წამოვასვენეთ საქართველოში. აფხაზთა სამარხებსაც მივაკვლიეთ. 250 კაცია აფხაზთა მხრიდან დაკარგული, ვეძებთ, ვეშაობთ. ერთბაშად ძნელია ასეთი საქმის გაკეთება. აფხაზებიც ძალიან დიდ პატივს სცემენ თავიანთ მიცველებულებს. მათ არ უნდათ ომი. მცირე ერია და აღარ უნდათ, რომ კიდევ უფრო შემცირდნენ და ამოწყდნენ. ერთსაც ვიტყვოდი, ომანირეში დარჩენილი არიან ქართველი მოხუცები, რომლებსაც დიდ პატივს სცემენ აფხაზები. ერთი კაცი ვიცი, რომელიც დღეობს სანაპიროსა და ამ მოხუცებს ურიგებს. ასე რომ, მე ისევ ვეგრძობები მუშაობას ამ საკითხზე და დავდევარ აფხაზეთში.

— დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისათვის.
მსაშობრა ლელა კოდალაშვილი

ბაზ. „სამართლებლოში“

გამოქვეყნებულ ჩემს წერილში „წითელი ჭირი“ მიზნად ვისახავდი იმის მოკლედ აღწერას, თუ რა ზიანი მიადგა საქართველოს ბოლშევიკურ-საბჭოური მმართველობის წლებში. გულშიაღ არ გამოვიღია ვისიმე წყენინება, მით უფრო, ვინმესთვის „ნერვების მოშლა“.

ფეიქრობ, იგივე მიზანდასახულობა ჰქონდა გახეთის იმევე ნომერში გამოქვეყნებულ დავით ზურაბიშვილის სტატიასაც სტალინის ანტიქართული მოღვაწეობის თემაზე.

მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი:

მოულოდნელად გაისმა „ხმა სამარიდან!!!“ და რა „სასიამოვნო“ ხმა!

სტალინისტების ფრიად „კორექტული“ სტატიის „მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრები“ (ბაზ. „სტალინელი“ №3) წაკითხვისას ერთი პირობა ვიფიქრე საყვედური მეთქვა მათთვის წერილში „გაპარული“ „ცალკეული“ პიროვნების შეურაცხყოფელი გამოთქმების გამო, რადგან დალოცვილებს ეს ყველაფერი ისე დიდებულად აქვთ გაკეთებული, რომ ვერც შეედავები: ისინი მოწინააღმდეგეებს — არასტალინელებს არც თვლიან პიროვნებად და რას ერჩი!

„პირში ბალახამოსული მცობნავი ცხოველი“, „ცოფიანი ძაღლი“... — აი, მათი ლექსიკა! ერთადერთი შედეგია, სადაც პიროვნებად მაღიარებენ, ისაა, რომ მე ვარ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მშოლიარე, გონებაარეული მშობდვარე. დ. ზურაბიშვილის

უპირფასეს სტალინისტებს არასტალინელის მოკრძალებული პასუხი


უფრო მეტი შედეგით ეძლევა (ალბათ, ავლიბ ზურაბიშვილის მოგვარობის ხათრით!), ის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან უკვე გამოწერილია, მაგრამ რად გინდა, მასაც კვლავ „გონებაზე მთლიანად და თვალზე ლიბრი აქვს გადაკრული“.

სულ ესაა და ეს, რაზეც მინდოდა საყვედური მეთქვა მათთვის, მაგრამ ჩემი ზემოაღწერილი მდგომარეობის გამო ვერ ვახერხებ!

სხვა მხრივ კი მადლობელიც ვარ მათი იმისათვის, რომ ჩემი წერილიდან საკმაოდ ხშირად აქვთ მოხმობილი ციტატები, ოღონდ ესაა, რომ ზოგჯერ ჩემი აზრი უშუაშეა გაწყვეტილი. განსაკუთრებით დასანანი კი ისაა, რომ ჩემი წერილის დედააზრი ნახსენებიც კი არაა.

მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის ავტორი ფრიად განათლებული პირი ჩანს (იგი კარგად ერკვევა კლასთა ბრძოლის თეორია — პრაქტიკაში: „თუ არ მოკლავ — შენ მოგკლავენ!“ ლენინის უღრმესი და უმინაარსო-ესი „ფილოსოფიური“ ნაშრომებიც ხომ იცის და იცის. ის კი არა, საწყალ ერნსტ მასსაც კი უსწორებს „თავდაყირა დაყენებულ“ გონებას!), ერთი პირობა ეჭვიც კი გამიჩნდა, იქნებ ძვირფასმა ვეტერან-



ნებმა ვერ გაიგეს ჩემი წერილის ის ადგილი, სადაც სტალინიზმის კრედო და საზრისი მაქვს გადმოცემული-მეთქი. მაგრამ ეჭვს ის მიქარწყლებს, რომ ყველაფერზე მოლაპარაკებმა (რაც ზოგჯერ „ნაკლებად“ ესმით) მაინცდამაინც სტალინის დედააზრს აუარეს გვერდი სრული დუმილით.

ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მათ რაღაცა იგრძენს, რაღაცა მათთვის სახიფათო არგუმენტაცია იყოს და დაუმალეს თავიანთ მკითხველს?

ჩემს წერილში ნათქვამია, რომ სტალინიზმის ხიბლი დაჯდო გარკვეული წყობის ადამიანებისათვის ისაა, რომ იმ კაცის მოძღვრება და პირადი ცხოვრების მაგალითი ათავისუფლებს მის მიმდევრებს საკუთარი ერისა და სა-

მშობლოს წინაშე უმძიმესი მოვალეობისაგან.

დიახ, უმძიმესი მოვალეობისაგან, რადგან შეუძლებელია გონება და ზნეობასრული ქართველი ხედავდეს თავის სამშობლოს კოლონიური კირთების უღელში და არ იბრძოდეს, თავს არ სდებდეს მისი გამოხსნისათვის!

ამგვარად, სტალინიზმობა ნიშნავს ერის წინაშე უმძიმესი მოვალეობისაგან ახატობას, თავდასხმას და ანტიეროვნული საქმიანობის ფერხულში გულარხინ ჩაბმას.

ამიტომაც უდიდესი მკრეხელობაა სტალინისტიზმის დიდი ილიას სახელის ხსენებაც კი, მით უფრო თავისი მრუშე აზრების დასამოწმებლად!
ილია და ბოლშევიკები, ილია

და გახეთი „პრადა“!

ამ მამა... ცხოვებულებს, ეტყობა, გონებაში ისევ ძველი ბოლშევიკური ცინიკური იდეა ფიქსი უტრიალებთ, ვითომცდა ილია ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ აკვანში მწოლიარე საქართველოს მხსნელ ყრმაში სტალინისდაგვარ დენაციონალიზებულ პიროვნებას გულისხმობდა!

„აჩრდილში“ ილია განა სწორედ სტალინისტებისმაგვარ ანტიქართველებზე არ ჰგოდებდა, როცა წერდა:

„დავიწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა

ღვთად მოუცია მარტო მამული“!

კარგად მესმის, პატივცემული მკითხველო, რომ თავად სტალინიც და სტალინელებიც (და, სავსებით, წითლები) ჩვენი ბედკრული ისტორიის პროდუქტნი არიან. სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, ხანგრძლივმა კოლონიურმა ყოფამ აღმოაჩინა და გაფურჩქნა ეროვნული ნიპილიზმის ბოროტი ყვავილი. ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი ბოლშევიკების იმპერიამ ძუძუ აწოვა და გამოზარდა დენაციონალიზებულ ქართველთა მთელი ფენა. საცოდავნი და საბრალონი არიან ეს თანამედროვე მამულქნი, მაგრამ უაღრესად საშინელი, რადგან, იმ მამულქნაგან განსხვავებით, მათ მახვილი სწორედ საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ აქვთ ამოწვდილი...

ღმერთო! გაუხსენი მათ გონების თვალი, რათა იპოვონ გზა ქვემარტი!

ღმერთო! იხსენი მათი სულელები ახალ ცოდვათაგან!

ავთანდილ კოპიაშვილი

კუროს ზეზინი

რეზინის უძველესი საქართველოს სახალხო არტისტი

ელენე საყვარელიძე

ფერადოვანი დაავადებანი



თეატრში ერთი თანამშრომელი ქალი გვყავდა, ხელოვნებასთან არაფერი ჰქონია საერთო, უბრალო ქალი იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება თეატრში გაატარა და თავისდაუნებურად შეეჩვია ხატოვან აზროვნებას, ხატოვან კი არა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი — ფერადოვან აზროვნებას. თუ რას ნიშნავს ფერადოვანი აზროვნება, ახლავე გაიგებთ!

ქმარი გარდაეცვალა, სმა უყვარდა საცოდავს და მიიღო უფალმა. მივედით, თანაგვგრძნობ... მივუსამძიმრეთ... აბა ასეთ დროს რა დროს იუმორია, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე...

— უბედო იყო ჩემი საწყალი ქმარიო, — ტიროდა ცოლი, — სულ ფერად-ფერადი ავადმყოფობა შეეყრებოდა ხოლმე და იმანვე მოკლა კიდევცო...

ჩვენ გავოცდით, რას ნიშნავს ეს ფერად-ფერადი ავადმყოფობა? კიდევ კარგი თვითონვე გააგრძელა საუბარი და ყველაფერი გაგვაცხადინა.

— ჯერ იყო და წითელი დაემართა საწყალს, შემდეგ სიყვითლე გაუჩნდა და იმან გააწამა, მოუკვდეს ჩემი თავი... მარტო ერთი შავი ჭირი შეეყარა იოდ ფორმებში და არ გადარჩა, მაგრამ, ბოლოს, თეთრმა ციებ-ციხელებამ მოინელა ეს უბედურიო...

რამდენადაც შევძელით, სიცილისაგან ამჯერად თავი შევიკავეთ, მაგრამ ველარაფერმა შეგვაჩერა, როცა ცოლმა ასეთი დასკვნა გამოიტანა:

— ვაი, ჩემო იმედო, რა მწვანე ფერი გადევს, ბიჭოო... ჩემო წითელლოყება შავლეგოო!

მოდი და თავი შეიკავე?!

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.



თადარიგი დაიჭირა

ერთ გაზაფხულს თბილისში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: მოვიდა ცნობა, რომ ჩვენს ქალაქში ჩამოდის ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის, ფაშისმთან მეტრძოლი იატაკქვეშელი კომუნისტის, გაზეთ „რუდე პრავოს“ რედაქტორის, ფაშისტების მიერ სიკვდილით დასჯილი იულიუს ფუჩიკის მეუღლე და თანამებრძოლი გუსტინა ფუჩიკოვა. აფუსფუსდა ჩვენი ქალაქი, ვინ შეხვდეს? როგორ შეხვდეს? და ამ ფაცი-ფუცში ვილაცას მოაგონდა, რომ მე, როგორც გუსტინას როლის შემსრულებელი სპექტაკლში „პრადა მაინც ჩემია“ (პრეცედენტი ბურჟუაზიისა), პირადი შეხვედრა მქონდა პრადაში ნამდვილ გუსტინასთან. ამის შესახებ მაშინ გაზეთებშიც ეწერა და მთხოვეს სხვებთან ერთად მეც შეხვედროდი საპატიო სტუმარს. შეხვედრა ქალაქის საბჭოს წინ მოეწყო, სულ შავი „ვოლგებით“ გადაიგსო იქაურობა. აეროპორტში გამგზავრების წინ დიდი ფაცა-ფაცი ატყდა, ვინ ვის მანქანაში ჩაჯდეს, ვინ მიესალმოს, ვინ მიართვას ყვავილები? განსაკუთრებით აქტიურობდა კულტურის განყოფილების გამგე — ქალბატონი, ასეთები კი მეტად დახვეწილი ინტელიგენტები უნდა იყვნენ, მკოდნე და განათლებულნი, კარგადაც ედერს: კულტურის განყოფილების გამგე! მართლაც მშვენიერია! ჰო და, ამ „გამგემ“ სტუმარზე ზრუნვა გამოავლინა, თადარიგი დაიჭირა და:

— აუცილებლად შეინახეთ მანქანაში ერთი ადგილი, ხომ შეიძლება ის ქალბატონი ქმრით ჩამოვიდესო!... გამოაცხადა კულტურის ძალიან მაღალი თანამდებობის ქალბატონმა საწყალო კულტურავ



„ქენიხი“ კი დაამაკარგვინა და...

ოთარ ლითანიშვილს დაბადებიდან 50 წელი რომ შეუსრულდა (ეს იყო 1973 წელს), მისმა მეუღლემ სალომე ყანჩელმა ეს თარიღი პომპეზურად აღუნიშნა საყვარელ ქმარს. ბინა დიდი ჰქონდა და უამრავი ხალხი იყო მოწვეული. თამადად რამაზ ჩხიკვაძე ავირჩიეთ. თთარზე უკეთესი თამადა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ იმ დღეს არანაკლებ დიდებული თამადა რამაზი ავირჩიეთ. ყველას მოგვხსენებთ, არტისტულ წრეში დროსტარება არ ეშლებათ, ლხინს ლაზათს მატებდა რამაზ ჩხიკვაძის თამადა და გონებამახვილობა. ლამის სამ საათზე დავიშალეთ. იმხანად რამაზი საბურთალოზე ცხოვრობდა და ვთხოვე, მეც წამოგვები-მეთქი. გავედით ქუჩაში, სიცარიელე იყო და მანქანის შიგნით გაქირდა. კარგახანს ვიქნით ხელგაბი, მაგრამ ამაოდ! ბოლოს, როგორც იქნა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა, გადაუდგა რამაზი წინ, მძღოლმა იცნო რამაზი და მანქანა გაგვიჩერა, ბედოდ შიგ ავადმყოფი არ იყო. რამაზი მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, ენად გაიკრიფა: შეხედეთ ერთი ამას, ფეხზე ძლივს დგას და საცაა წაიჭყვეა, ბნედიანია და მაგისტრის სმა არ შეიძლებაო, მაგრამ ვინ დაგი-

როგორ გეკადრებთ, ეს ისეთი არ არისო, არწმუნებდნენ, ჰო და, მოვიდა ეს „ქენიხი“ „სამგროშინი ოპერის“ პრემიერაზე დიდითურთ. რადგან მისი ხასიათი ვიცოდი, შევედი რამაზთან და ძალიან შევეხვეწე, დღეს ცეკვის დროს, გთხოვ, ხელს ნუ შემომახვევ, ისეთი ვინმე მიყურებს, ეწყინება-მეთქი. კი ბატონო, შემპირდა და დაიწყო წარმოდგენაც... მოახლოვდა ის წყველი ცეკვის ადგილი და დაიწყო მუსიკაც... უცებ, მეცა რამაზი წელზე კი არა, უფრო

„არა, არა, ბარემ ახლავე ამოვალ, მობრუნება მეზარება... ჰე, შედი და მოვდივარ!“ სადარბაზოში შევეარდი, რამაზი უფრო აყვირა „აღი? ახლავე ამოვალ, ვითომ მე რე მოვედო“, მთელი ეზოს გასაგონად ყვირის... არ ვიცი, გაიგონა თუ არა ვინმემ ეს ამბავი, ჩემთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ მე ერთი სიკვდილი გავათავებ...


ამ ამბავს მეორე ასეთივე ისტორიას მოვაცოლებ, იგივე მომქმედ ბირთა მონაწილეობით.

... ბერტოლდ ბრეტის „სამგროშინი ოპერაში“ ქურდებისა და ნაძირალების თავგაქცევი დანასის როლს რამაზი ასრულებდა, მე მის საყვარელს და ლონდონის მეძავეების მოთავე ჯენის როლს, მას დამპალ ჯენის ეძახდნენ, რასაც განმარტება არ სჭირდება... ჰო და გვქონდა ისეთი სცენა, როცა მე და რამაზი ვცეკვავდით საოცრად წარუგადასული მოძრაობით, უწყალო სიტყვებით და სიმღერებით, ცეკვისას იგი ხელს მხვევდა... წელზე...

იმხანად მე ერთი კარგი კაცი, როგორც ჩვენი გოგონები უძახდნენ „მეყენიხებოდა“, ძალიან მკაცრი კაცი იყო, სულ თავს იკავებდა, რად მინდა მსახიობი ქალიო, ვინმემ რომ აკოცოსო?

დაბლა... მერე მიმიკრა გულზე, შემდეგ ხელი მკრა, შემატრიალა და უკან პანლურიც ამოკრა. შემდეგ მე, გაოგნებულს, აღარაფერი მესმოდა, ეს კი მახსოვს, რომ გონებაში ჩამებეჭდა ორი დაცარიელებული ადგილი პარტერის მეშვიდე რიგში...

რამაზის ცოლს მოუყვები ჩემი აღმფრთხილება და მხოლოდ იმით „დამამწვიდა“, არ უნდა გითქვავო, ხომ იცოდი მისი ხასიათიო... ჩემთვის დიდი შეღავათი იყო... „ქენიხი“ კი დამაკარგვინა და...



ლელა კოდალაშვილის ილუსტრაციები

პროსკოპი

ასტროლოგიური კალენდარი 15 თებერვლიდან 22 თებერვლამდე



15 და 16 თებერვალს ვერძებს ფინანსური სახის პრობლემები გაგიჩნდებათ. შეიძლება მოზრდილი თანხა დაკარგოთ კიდევც. მთელი თქვენი ძალები მოიკრიბეთ, რადგან დაძაბული დღე გელით. 18 თებერვალს ჯობია სახლში იჯდეთ, ამ დღეს მალალი ალბათობაა უბედური შემთხვევისათვის, სამაგიეროდ 19 და 20 თებერვალს თქვენი გულმოდგინება თავის ნაყოფს გამოიღებს და 21 თებერვალს შეგიძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოთ. ნუ გაუშვებთ შანსს.

კურო 21.04 — 21.05



თუ 15 თებერვალს მატრიალურ ზარალს არ განიცდით, მაშინ შეეცადეთ 16 თებერვალი მთლიანად საქმეს მიუძღვნათ. მით უმეტეს, რომ 17 თებერვალს მოულოდნელ საქმიან წინადადებას მიიღებთ, თღონდაც არ აჩქარდეთ. 18 თებერვალს შეიძლება უსიამოვნება მოყვეს თქვენს გარიგებას. 19 თებერვალს ნებისმიერი კონტაქტი სიხარულს მოგიტანთ, 20 თებერვალს შეიძლება დეგასაჩუქრონ კიდევც, 21 თებერვალს კი დილით ადრე ადექით და საქმეს შეუდგებით. ეს თქვენი დღეა.

ტყუპები 22.05 — 21.06



ტყუპებს ცოტა მელანქოლიური კვირა ელოდებათ. ნუ მოიწყენთ და ნუ შეეცდებით წარსულის გახსენებას. ეს სიკეთეს არ მოგიტანთ. პირიქით, შეიძლება დაბნეულობის გამო 16 თებერვალს თავი საავადმყოფოშიც ამოჰყოთ. სამაგიეროდ 17 თებერვალს საქმიანი კონტაქტები გელოდებათ, ოღონდ ფრთხილად, 18 თებერვალს შეიძლება მოგატყუონ. 19 თებერვალს აშკარად იგრძნობთ „ზეციური ძალების“ მფარველობას, ხოლო 20 თებერვალს ფინანსურ მოგებას ნახავთ. 21 თებერვალს საქმიანი ვახშამი გელოდებათ და წასვლას ნუ დაიზარებთ.

კიბორჩხალა 22.06 — 22.07



ღმერთო ჩემო, ნუთუ აღარ უნდა დაწყნარდეთ! თქვენთვის გადამწვარი ნათურაც კი პრობლემად დაქცეული. ძალები მოიკრიბეთ. თუ 14 თებერვალს საკუთარ თავში დარწმუნებული არ იქნებით, ნუ იაქტიურებთ. 15 თებერვალი ცუდი დღეა თქვენთვის, მაგრამ თუ მოინდომებთ, შეიძლება დღეს ნებისმიერი მიმართულება მისცეთ. 16 თებერვალი ინტელექტის ამალღებისთვის საუკეთესო დღეა. 17 თებერვალს კი აგრესიული იქნებით და შეიძლება იჩხუბოთ კიდევც. ასეთივე განწყობა გაგყვებათ 18 თებერვალს, ხოლო 19 თებერვალს საქმიანი კონტაქტის შემდეგ დაფიქრდით შეერთავეზებულ წინადადებაზე, ნუ იჩქარებთ დადებითი პასუხის გაცემას. 20 და 21 თებერვალს ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

ლომი 23-07 — 23.08



15-21 თებერვალი თქვენთვის ხელსაყრელი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად, ან ძველის გასაუმჯობესებლად. რომანტიული ფიქრებით თავს ნუ შეიწუხებთ, დაგირეკავენ კიდევც, დაგაბტიყებენ კიდევც, მაგრამ ამ ურთიერთობიდან სიკეთეს ნუ გამოელოთ. განსაკუთრებით ამალღდება თქვენი შრომისნაყოფიერება 17, 18, 20 თებერვალს. 15 და 16 თებერვალს იღბლიანი დღე გაქვთ, გარისკეთ და მოიგებთ! 19 თებერვალს შეიძლება იჩხუბოთ, ხოლო 21 თებერვალს მოულოდნელად გზაში ამოყოთ თავი.

ქალწული 24.08 — 23.09



მთელი ზამთრის განმავლობაში დაგროვილ აგრესიას გზა მიეცით, ბოლოს და ბოლოს თქვენც

ადამიანი ხართ! 15 თებერვალს შეიძლება სასიამოვნო შეხვედრა გქონდეთ, 16 თებერვალს კი ისევე სევდა შეგაპყრობთ. ფრთხილად, თქვენი ნერვები კრიზისის ზღვარზე მისული. 17 თებერვალს ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. 18-19 თებერვალს შეიძლება უსიამოვნო ამბავი შეიტყოთ. სამაგიეროდ 20 და 21 თებერვალს მოგცემათ დასვენების საშუალება.

სასწორი 24.09 — 23.10



15 თებერვალს თქვენს მეგობრებთან ერთად თუ გაატარებთ, ხასიათი გამოგიკეთდებათ. 16 თებერვალს ნებისმიერი საქმის დაწყება წარმატებას მოგიტანთ. 17 თებერვალს თქვენი იმედგაცრუება პიკს მიაღწევს და შეიძლება ნერვული სტრესი განიცადოთ. 18 თებერვალს ჯანმრთელობას, კერძოდ ნერვებს გაუფრთხილდით. 19, 20, 21 თებერვალს თავი მოარიდეთ ყოველგვარ კინკლაობას, განსაკუთრებით მოერიდეთ ჭორებს.

მორიელი 24.10 — 22.11



საქმიანი კვირა გელით. 16, 17, 18 თებერვალს გიჯობთ თავს მიხედვით და შეძლებისდაგვარად მანქანებს მოერიდოთ. 19, 20, 22 თებერვალს საქმიანი კონტაქტები მატრიალურ მხარეს მოგიწესრიგებთ.

მშვილდოსანი 23.11 — 21.12



რთული კვირა გელით. 15 თებერვალს მატრიალური ზარალი შეიძლება განიცადოთ. საქმიანი შეხვედრები და სატელეფონო ზარები 16, 17, 18 თებერვალს ახალს ვერაფერს მოგიტანთ. პირი-

ქით, შეიძლება 19 თებერვალს უსიამოვნო საუბარიც კი გქონდეთ. 20 თებერვალს ნამდვილად არაა თქვენი დღე, ხოლო 21 თებერვალს გაფრთხილდით, კონფლიქტური სიტუაცია გელოდებათ.

თხის რვა 22.12 — 20.01



თუ სიღმე წასვლას აპირებთ, მოგზაურობა გიჯობთ 15 თებერვალს დაგვემთ. 17 თებერვალს კი თავს. კერძოდ თირკმლებს გაუფრთხილდით. სამსახურში უსიამოვნება გელით 18 თებერვალს. 19 თებერვალს შეიძლება მსუბუქი კინკლაობა კონფლიქტში გადაზარდოთ, ნუ ინერვიულებთ და დაელოდეთ 21 თებერვალს. ამ დღეს ახალ, სასიამოვნო ამბავს შეიტყობთ და ხასიათიც გაგიუმჯობესდებათ.

მერწყული 21.01 — 19-02



თქვენთვის ხელსაყრელი დღეები არ გახლავთ 19 და 20 თებერვალი. ამ დღეს შეიძლება თავი ცუდად იგრძნოთ. სამაგიეროდ 16, 17, 18 თებერვალს დიდი შანსი გაქვთ მიღწიოთ სასუკვარ მიზანს, ამ დღეს თქვენი შრომისმოყვარეობა მაქსიმალური იქნება.

თევზები 20.02 — 20.03



ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ გაფრთხილდით. შეიძლება უსიამოვნების მთელ ჯაჭვს წააწყდეთ — ფულის დაკარგვიდან დაწყებული, ეჭვიანობის სცენებით დამთავრებული. განსაკუთრებით გაფრთხილდით 15, 16, 19 თებერვალს. 17 თებერვალი თქვენთვის მშვენიერი დღეა. 18 თებერვალს ნებისმიერი კონტაქტი წარმატებას მოგიტანთ, 20 თებერვალს კი ტელეფონით სასიამოვნო მიპატივებას ელოდეთ და 21 თებერვალს ნუ დაიზარებთ სტუმრად წასვლას, გართობა ნამდვილად არ გაწყენთ.

თარაზულად: 3. ადამიანის მსგავსი მამუნი; 6. პერსონაჟი დ. შენგელაის მოთხრობისა „განძი“; 7. უარი თქვა, არ დათანხმდა, ესე იგი... 8. ბალახოვანი მცენარე ბალბისებრთა ოჯახისა; 9. თევზთა მეფე ლუარსაბ თათქარიძის აზრით; 10. გემი, რომელსაც მიჰყავს მასზე გამობმული გემი, ტივი და მისთანები; 11. ვულკანური წყარო; 12. საჯარიმო დარტყმა ფეხბურთში; 13. ჰორიზონტალური კოორდინატი (მათემატიკა); 14. ასაკრული უნაყოფო საქონელი; 23. ტერმინი, რომლითაც მოიხსენიებენ ძველ სკანდინავიელ პოეტ-მომღერალს; 24. ცნობილი ფრანგი ინჟინერ-მშენებელი; 28. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ენა; 29. შენობა წირვა-ლოცვისთვის; 30. მსხლის მოყვანილობის ქლიავი; 33. ქარტაშის შესამოსი ხორკლიანი, მაგარი ტყავი; 35. ქართლის პირველი მაჰმადიანი მეფე (XVII საუკუნე); 37. პერსონაჟი ლ. ქიჩილის მოთხრობისა „ჰაკი აბბა“; 38. ქედმაღალი, ზვიადი, ესე იგი... 39. ცხენების სადგომი; 40. ის, რაც ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას და დამნაშავეთა აღმოჩენას (კრიმინალისტიკაში მიღებული ტერმინი); 41. ქართველი ბალერინა.

შვპულად: 1. ძირმაგარა, ანუ... 2. მაჩვენებელი ხარისხისა, რომელშიც აიყვანება ფუძედ წოდებული რიცხვი მოცემული რიცხვის მისაღებად; 3. სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა; 4. სახელწოდება, რომლითაც აღმოცენდა ჯადრაკი ინდოეთში V საუკუნის ბოლოს; 19. ნორვეგიის ეროვნული თეატრის ფუძემდებელი; 11. საეპტო ნაგებობა; 15. საქართველოს დედაქალაქი 1936 წლამდე; 16. წელთაღრიცხვის სისტემა, დასაბამი; 18. ლისაბონის (პორტუგალია) საფეხბურთო გუნდი; 19. მდინარე აფხაზეთში; 20. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 21. ნამგლით ან მანქანით პურეული მცენარის მოჭრა; 22. ჩეჩნეთის პირველი ლედი; 25. სიტყვა, რომლითაც იმერლები მოიხსენიებენ ცოტა რამის, შერჩევით მჭამელს. 26. თავის სახლში, ე.ი... ცნობილი ქართველი კალათბურთელი; 31. გერმანელი ფიზიკოსი; 32. რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე; 34. ობილისის ერთ-ერთი უძველესი სასაფლაოს სახელწოდება (მახათას მთასთან); 36. ვისი საფლავი იძებნება „სულიკოში“?

გიორგი ბასიტაშვილი
წინა ნომერი გამოქვეყნებული პროსკოპი: ა. ს. ხუბუაძე
თარაზულად: 3. საფანტი; 6. გაიდარი; 8. ურთხელი; 10. გელოვანი; 12. იღბლიანი; 18. გრანატა; 19. სერვანტი; 20. რენტგენი; 21. ალბათ; 28. არგელაძე; 29. პრესინგი; 30. რაფსოდი; 31. მარიფათი; 33. შანსონი; 34. საძვალე; 35. კრიტიკა; 36. მერკური.
შვპულად: 1. ფაკიო; 2. სტოლნი; 4. ფიროსმანი; 5. მერიდიანი; 7. ანალოგია; 9. თაბაგარი; 11. ელიავა; 13. „ნიანგი“; 14. ბარელიეფი; 15. გაუმარჯოს! 16. სინაგოგა; 17. მელბურნი; 22. ჯეჯორა; 23. ზაქარიაძე; 24. სერენადა; 25. სპილენძი; 26. ტერიტორია; 27. ნილოსი; 32. ინებეთ; 33. შაკიკი.